

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქრისტიანული ფესვები

ვერნერ ლახმანი, როტი

წმინდა წერილებში არ არის ლაპარაკი ამა თუ იმ კონკრეტულ სამეურნეო-ეკონომიკურ წყობაზე. ძველი აღთქმის მორწმუნეებმა და ქრისტიანებმა სხვადასხვა სახის დიქტატურებსა და დემოკრატიებს გაუძლეს. ძველ აღთქმაში არ განიკითხავენ არც იოსების დახმარებით ცენტრალიზებული საგეგმო მეურნეობის შემოღებას ფარაონისეულ ძველ ეგვიპტეში (რაც თავისთავად იოსების მიერ შვიდი მჭლე ძროხისა და შვიდი მსუქნი ძროხის, ისევე როგორც შვიდი სავსე და შვიდი ცარიელი ხორბლის თაველის შესახებ სიზმრის ახსნას ეყრდნობა და სურსათის მარაგის შექმნად მოიაზრება) და არც ფარაონის მიერ მთელი სახელმწიფო მიწის საკუთარ მფლობელობაში აღებას. აბსოლუტური მზრძანებლის მრჩეველი იმხანად თავად დანიელ წინასწარმეტყველი იყო, სპარსული სამეფო კარის მეღვინეთუხუცესი კი – მოჰემია. როგორც ჩანს ძველი პატრიარქები საბაზრო ეკონომიკით გაჯერებულ გარემოში ცხოვრობდნენ. ხელშეკრულებები თავისუფლად გვარდებოდა. პირველ ქრისტიანებსაც კი აბსოლუტური მონარქების ბატონობის ქვეშ უხდებოდათ ყოფა. განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობები ჰქონდათ მეტწილად მოგვიანებით ხანაში აღმოცენებული დემოკრატიების პირობებში მცხოვრებ ქრისტიანებს.

შენიშვნა

რადგან არ ვიცნობთ ისეთ ბიბლიურ გამონათქვამებს, როგორცაა „ააშენე სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ ან „შექმენი სოციალური ეკონომიკური წყობა, ამიტომ მხოლოდ ბიბლიურ წყაროებზე და ბიბლიურ წარმოდგენებზე დაყრდნობით შეიძლება შევეცადოთ პასუხი ვიპოვოთ ქრისტიანული ეკონომიკური წყობის შესახებ. რა თქმა უნდა პალესტინის 2000 ან 3000 წინანდელი საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობა არ შეიძლება დღევანდელი ეკონომიკურ წყობის საზომად მივიჩნიოდ.

ამას ემატება სიტყვა ქრისტიანულის პრობლემატიკა. რა იგულისხმება ამაში? არსებობს სხვადასხვა დიდი ქრისტიანული ტრადიციები: ორთოდოქსია, კათოლიციზმი, პროტესტანტული მიმართულებები¹. ცალკეული დიდი მიმდინარეობა

¹შეადარეთ: იონათან ჩაპლინის და გარი ვინტონის ანალიზი (Ed): God and the EU. Faith in the European Project. London, New York 2016 (Routledge).

ხშირად განსხვავებულ მოსაზრებას იზიარებს, გარდა ამისა თვით ერთი თეოლოგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებიც ვერ თანხმდებიან ხშირად ერთმანეთში.

დაახლოებით ოცი წლის წინ გამოვიდა რობერტ კლოუზის (1984) წიგნი სახელწოდებით „სიღარიბე და სიმდიდრე. ეკონომიკური სისტემა ქრისტიანული ხედვით“. ოთხი ამერიკელი ევანგელისტი ეკონომისტი გამოთქვამს სხვადასხვა მოსაზრებას ეკონომიკური წყობის შესახებ, თუმცა თეოლოგიური ხედვით ყველას ერთი განზომილება აქვს. გარი ნორტი გადაჭრით თავისუფალი ეკონომიკის მომხრეა, ვილჰელმ ე. დელი, უფრო მეტად კეინეზიური ორიენტაციის ეკონომისტი, სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკის მომხრე, არტ გიში დეცენტრალიზებული ეკონომიკის პოზიციასაკენ იხრება და ხაზს უსვამს უბრალო ცხოვრების სტილს და ბოლოს იონ გლადვინი კი ცენტრალიზებული საგეგმო ეკონომიკის დამცველია. აღსანიშნავია აგრეთვე რონალდ ზიდერი, რომელსაც დაახლოებით 30 წლის წინ სტუდენტებზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა. იგი უბრალო ცხოვრების სტილის მომხრე იყო და მატებას, კაპიტალიზმს, მოგების სიხარბეს და გაფლანგვის მანიას კიცხავდა. სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ პირადი სიმდიდრის, ასევე სიღარიბის მიმართ დავიდ ჩილტონს და ჰეროლდ ლინდსაც. ისინი სხვაგვარად წარმოიდგენენ ადამიანს სურათს, სრულიად განსხვავებული ფორმის მიდგომა აქვთ „მეურნეობის მოწყობის“ მიმართ. ეს ფაქტი ნათელს ხდის, რომ არ არსებობს არც საზოგადოდ აღიარებული შეხედულება ბიბლიისეული ადამიანის შესახებ და არც ერთიანი შეხედულება ეკონომიკური სისტემების ქრისტიანული ხედვით შეფასებისას.

რა არის სოციალური საბაზრო ეკონომიკა?

აქ პატარა ისტორიული მიმოხილვა მინდა გავაკეთო. ორდოლიბერალური სკოლაზე არსებითად ზეგავლენას ქრისტიანები ახდენდნენ. ბონჰოფერის მიერ ნანატრი ომის შემდგომი პერიოდის წყობის კონცეფცია, ნაშრომი „საათში ნული“, რომელის წარდგენაც მას 1948 წელს ამსტერდამში პირველ მსოფლიო ეკუმენურ კონფერენციაზე სურდა, შედგენილია თეოლოგების, იურისტებისა და ეკონომისტებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ. ეს ჯგუფი თავისი პრინციპებით საეკლესიო ოპოზიციურ პარტიასთან (დეიე ეკენენდე ჰირცჰე) უფრო ახლოს იდგა. ცნობილ პროტესტანტი თეოლოგები ჰელმუტ ტილევი და დიტრიხ ბონჰოფერი, ეკონომისტები ვალტერ ოიკენი და

კონრად ფონ დიტცე, ასევე იურისტი ფრანც ბომი, რომლებიც ფრაიბურგის ერთი ეკლესიის მრევლს წარმოადგენდნენ, ხასიათდებოდნენ დიდი ქრისტიანული თავდადებით. ფრაიბურგის უნივერსიტეტის ბევრი პროფესორი ახლოს იდგა საეკლესიო ოპოზიციურ პარტიასთან (დიე ეკენენდე შირცჰე)². მიულერ-არმაკიც ქრისტიანული მრწამსს იზიარებდა. ასე შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის პირველ ხელშემწყობებს ქრისტიანული პასუხისმგებლობით ისეთი ეკონომიკური წყობის დაგეგვა სურდათ, რომელიც ბიბლიურ წარმოდგენებს შეესაბამებოდა.

ცნება სოციალური საბაზრო ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება ლუდვიგ ერჰარდისა და ალფრედ მიულერ-არმაკის სახელს. „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ პირველად საზოგადოებრივი განსჯის საგნად ხდება მიულერ-არმაკის ნაშრომში „ეკონომიკის მართვა და საბაზრო ეკონომიკა“, რომელიც 1946 წლით თარიღდება. სოციალური საბაზრო ეკონომიკის არსებითი პრინციპების გატარებას და საერთო კონცეფციის განვითარებას თავად მიულერ-არმაკი ლუდვიგ ერჰარდს მიაწერს. მიულერ-არმაკი სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს, როგორც დინამიურ, ღია და მოქნილ წყობად. აქედან გამომდინარე არ არსებობს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ზუსტი დეფინიცია. ეს ემყარება ორდოლიბერალიზმის მოთხოვნებს ფუნქცია-უნარიანი შეჯიბრის წყობისათვის, რასაც თავის მხრივ ეკონომიკურ-პოლიტიკური სახელმწიფოებრივი დავალებები სოციალ-პოლიტიკურ მიზნებზე აქცენტით ემატება. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი აერთიანებს ლიბერალიზმის როგორც მიზნებს, ასევე პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს - ქრისტიანული სწავლების თეორიას და სოციალ-დემოკრატიულ პროგრამატიკას.³

სოციალური საბაზრო ეკონომიკის საწყისად შეიძლება ლუდვიგ ერჰარდის მიერ გაერთიანებული ეკონომიური სივრცის ეკონომიკური საბჭოს მე -14 შეკრების წინ წარმოთქმული სიტყვა ჩაითვალოს. ლუდვიგ ერჰარდმა, რომელიც 1948 წლის 2 მარტს გაერთიანებული ეკონომიკური სივრცის სამმართველოს დირექტორად იქნა არჩეული, ამავე შეკრებაზე წარადგინა ეკონომიკური პროგრამა, თავისუფლებაზე და

² ძალიან კარგ და დაწვრილებით ინფორმაციას ჰიტლერის წინააღმდეგ ფრაიბურგის ეკონომისტ მეცნიერთა როლის შესახებ ნახავთ ნილს გოლდშმიდტთან(გამომც.): ეკონომიკა, პოლიტიკა, თავისუფლება. ფრაიბურგის ეკონომისტი მეცნიერები და წინააღმდეგობა, თუბინგენი 2005 (Mohr Siebeck); განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია ჰაგემანის და მარტინის სტატეები.
³შეადარეთ: ოტო შლეხტი:სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეპტის დასაწყისი.; ოტმარ ისინგი (გამომც.): სოციალური საბაზრო ეკონომიკის მომავლის პრობლემები,ბერლინი 1981 (Duncker & Humblot), გვ. 9-31.

პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის დახურული კონცეპტი⁴.

ცნობილია მიულერ-არმაკის დეფინიცია: „სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ყველგან იქ, სადაც ბაზრის ძალას მიენდობი და შეეცდები ყველა მიზანი, რომელისკენაც სახელმწიფო თუ ცალკეული ჯგუფი ისწრაფვის, თავისუფალი წყობის და სოციალურ სამართლიან და საზოგადოებრივ ჰუმანურ ცხოვრების წყობის ორმაგ ასპექტში განახორციელო“⁵

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი ემსახურება თავისუფალ საზოგადოებას თავისუფალი შეჯიბრით, სადაც სოციალური ასპექტები უყურადღებოდ არ რჩება. ერჰარდი ამიტომ ხშირად „ლიბერალური სოციალიზმის“ და „სოციალური ლიბერალიზმის“ შესახებ ლაპარაკობდა. იგი შეჯიბრს თვით თავისი საზოგადოებრივი წყობის მოდელად განიხილავდა, სადაც შეჯიბრი სოციალური პრობლემებს არ წარმოიქმნის. მისი აზრით, სოციალური მიზეზით შეზღუდული შეჯიბრი კიდევ მეტად გაამწვავებდა სოციალურ პრობლემას.

ძირეული შეხედულებები შეიძლება ასე შევაჯეროთ:

- სოციალური საბაზრო ეკონომიკა მოიაზრებს წარმატებაზე ორიენტირებულ შეჯიბრს შემთავაზებლებისათვის და ხაზს უსვამს მომხმარებლის სუვერენობას, თითოეული მოქალაქის თავისუფლებას და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას.
- სოციალური საბაზრო ეკონომიკა პასუხისმგებლობას აკისრებს სახემწიფოს თვითეული მოქალაქისათვის (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი). ადამიანებს, რომლებიც შეჯიბრის საზოგადოებაში დამაკმაკმაყოფილებელ შემოსავალს საკუთარი შრომით ვერ იქმნიან, მხარში უდგას საზოგადოება (სოციალური დახმარება) სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის შიგნით სოციალური თანასწორობა წარმოადგენს მნიშვნელოვანი კრიტერიუმს სოციალური ღონისძიებების გასატარებლად.
- სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ესაჭიროება განსაზღვრული მინიმალური მორალი. ამ მორალის არსებობის გარეშე საერთო საზოგადოებრივი საქმე

⁴ შეადარეთ: გზა მომავლისაკენ, ს გაერთიანებული ეკონომიური სივრცის ეკონომიკური საბჭოს მე -14 შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა, მაინის ფრანკფურტის, 21. აპრილი, 1948; კარლ ჰომანი (გამომც.): ლუდვიგ ერჰარდი: ხუთი საუკუნის ნააზრევი. Rede und Schriften, Düsseldorf et al 1988, გვ. 95-119.

⁵ მიულერ-არმაკი: სოციალური საბაზრო ეკონომიკის გენიოლოგია, Bern und Stuttgart 1981, გვ. 12.

ხანგრძლივი პერიოდით ძნელად შენარჩუნდება. ერთიანი ღირებულებები არის ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო გარანტი. ბევრი ასპექტი სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ქრისტიანულ ტრადიციებსა და ჰუმანიზმის შეხედულებებს ემყარება.

ფიქრი ქრისტიანული ადამიანის სურათის შესახებ

ეკონომიურ საკითხებს სისტემატურ-თეოლოგიური კუთხით პირველად თომას აქვინელი მიუდგა. თუ პლატონი რელიგიურ ღირებულებებს, ეთიკურ ასპექტებს და სათნოებას აღიარებს, არისტოტელე თავის შეხედულებებს ადამიანის გონზე ამყარებს. თომას აქვინელი არისტოტელეს ხედვას იზიარებს და მას ქრისტიანულ აზროვნებასთან აკავშირებს. რადგან ღმერთი შემოქმედია, მისი შემოქმედებაც ღმერთიდან უნდა მოდიოდეს და როგორც მიზანი მისკენ უნდა იყოს მიმართული (ფინის ულტიმუს). მხოლოდ ასე შეუძლია ადამიანს თავის ბედნიერება სრულყოს (ბეატიტუდო პერფექტა). ის ხაზს უსვამს მეურნეობის სოციალურ განზომილებებს (*კომმუნისკატო ოეკონომიკა*) და მატერიალურ კაპიტალთან დამოკიდებულების დროს სიჭკვიანისა (*პრუდენცია*) და სიბრძნის (*საპიენცია*) მნიშვნელობას აღიარებს. მეურნეობის საბოლოო მიზანი მთელი მრევლის კეთილდღეობა (*ტოტუმ ბენე ვივერე*) უნდა იყოს. *ბონუმ კომუნე* მიიღწევა მაშინ, როდესაც თითოეული ადამიანი ცხოვრებისათვის ყველაფერს აუცილებელს და საჭიროს მიიღებს. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანი ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობით მიუდგეს საკუთრებას (და ამით სიკეთის გაკეთებაც შეძლოს!), მას ესაჭიროება კერძო საკუთრება.

რეფორმაციაც ხაზს უსვამს ადამიანის პასუხისმგებლობას ღმერთის წინაშე და განიხილავს მას ორმაგ არსებობაში: ადამიანს, როგორც სულისა და შემოქმედი ძალის (კულტურის მატარებელი) მატარებლს და როგორც ბუნებისა და შეზღუდულობის ნაწილს. ადამიანი არის თავისუფალი, აქვს შემოქმედებითი შესაძლებლობები და შეუძლია ზნეობრივად და პასუხისმგებლობის გრძნობით იმოქმედოს. მაგრამ ეს თავისუფლება მის ხელმოცარვასაც ხდის შესაძლებელს. ადამიანმა ღმერთის მიერ ბოძებული ჭკუა ეკონომიკური ურთიერთობის მოწყობისათვის უნდა გამოიყენოს, განსაკუთრებით როცა წმინდა წერილები რაიმე კონკრეტული ეკონომიკური წყობის შესახებ არავითარ ინფორმაციას გვაწვდიან.

ადამიანი არაფრიდან თვითშემოქმედი არ არის. ის არის რაღაცით სამყაროში, რაც თვითონ არ არის. აქედან გამომდინარე ადამიანისათვის მხოლოდ საკუთარი თავი არასოდეს არის საკმარისი. თავის არსებობის გარეთ მისთვის აუცილებელია ჰქონდეს დადებითი მიზნები. ადამიანს სრულყოფილი ცხოვრებისათვის ესაჭიროება ცხოვრების მიზანი და ღმერთის დავალება, შეინარჩუნოს თავისი არსებობა და გარემო.⁶

ეკონომიკური და სოციალპოლიტიკური მოწყობისათვის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ დისკუსიებში პერსონალობის, სოლიდარობის და სუბსიდირების პრინციპები სახელდება. ადამიანი როგორც ინდივიდი სერიოზულად აღიქმება, ის სხვების მიმართაც სოლიდარულია და თავისი მოყვასის მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას ატარებს (მოყვასის სიყვარული). კათოლიკური სოციალური სწავლების თეორიის მიხედვით საკუთარ თავზე პასუხისმგებლობასა და სოლიდარობას შორის დაქვემდებარება სუბსიდირების პრინციპით ხდება. ესიმას ნიშნავს, რომ თვითოეულმა ადამიანმა თავდაპირველად საკუთარ თავზე თვითონ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში თუ ვინმე მაინც ვერ ახერხებს თავის გატანას, შედარებით უფრო დიდი სოციალური ჯგუფი იღებს მასზე პასუხისმგებლობას, ასე რომ პასუხისმგებლობის გრძნობის იერარქიული სტრუქტურა იქმნება. სუბსიდირების პრინციპი ვრცელდება როგორც სოციალური პოლიტიკიზე ასევე სახელმწიფოებრივ მოვალეობათა განაწილებაზე. მისი კლასიკური ფორმულირება მოხდა 1931წელს სოციალურ ენციკლიკაში „*უადრავესიმო ანნო*“.⁷

შემდეგი კრიტერიუმებია წამოწეული წინ ქრისტიანული ხედვით ადამიანის სურათისათვის:

ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას: ადამიანი ღვთის მსგავსად და ხატად არის შექმნილი, რასაც ძველ აღთქმაში პირველივე გვერდებზე ვკითხულობთ და რაც ასევე მაგალითად სამყაროს შექმნის შესახებ ცნობიდანაც

⁶ ნებისმიერ სამთავრობო და ეკონომიკურ წყობაში შესაძლებელია ღმერთისთვის მისაღები ქმედება.

⁷ „*Quadragesimo anno*“-ს 79-ე ნომერში ვკითხულობთ: „ის, რაც თითოეულ ადამიანს საკუთარი ინიციატივით და საკუთარი ძალებით შეუძლია შექმნას, არ შეიძლება მას ჩამოერთმევეს და საზოგადოებრივ საქმიანობას მიეწეროს. სამართლიანობა ირღვევა, რომ რასაც პატარა და მათზე დაქვემდებარებულ თემები თავიანთი მიღწევებით რაღაც კარგს შექმნიან, სხვა უფრო მაღლა მდგომი თემები კი ამას გამოიყენებენ. ამავე დროს ეს მდგრადია და მთელ საზოგადოებრივ წესრიგში ქაოსი შემოაქვს. ყოველი საზოგადოებრივი საქმეში სუბსიდირება მოიაზრება. მან ხელი უნდა შეუწყოს სოციალური სხეულის ნაწილებს, მაგრამ ამავედროულად მას არ აქვს მისი დამსხვრევის ან გამოფიტვის უფლება“. ეს ფორმულირება ეკუთვნის გ. გუნდლახს და ემყარება ლათინურ სიტყვას *subsidium*.

შეიძლება ვივარაუდოთ. იქ ვკითხულობთ “და თქვა ღმერთმა: შეექმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ, და მთავრობდეს ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და პირუტყვზე და მთელს ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახვნავს და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.” ერთი თავის შემდეგ ვკითხულობთ „და ღმერთმა აიყვანა ადამიანი და დასვა იგი ედემის ბაღში, რომელიც მან გააშენა და დაიცვა“ (დაბ.2:15).

ადამიანი ღმერთის თანამონაწილეს შემდგომი შემოქმედებისათვის ამ დედამიწაზე, რადგან იგი ხატია ღმერთისა და არსებობს დედამიწის ფორმირების დავალება. ადამიანი შემოქმედდა თავისუფალია და ამისათვის პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს. იგი ღმერთის ავტომატს ან მარიონეტს კი არ წარმოადგენს, არამედ მის პარტნიორს. აქედან ეჭვგარეშე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ადამიანი თავისუფლებისთვის არის მოწოდებული. შეჯიბრის საზოგადოებას დაქვემდებარებული პრინციპი, რომელიც თავისუფლებისა და ადამიანის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას მოიაზრებს, ამით მოდის ბიბლიასთან შესაბამისობაში.

ადამიანი თავის შემოქმედის წინააღმდეგ გამოვიდა და ღმერთთან მსგავსების გამო ცოდვილიც კი გახდა დაცემულ სამყაროში. ბიბლიურ ანთროპოლოგიაში დაბ.(Tენ.) 3, აღწერილია ცოდვის ჩადენის ის შემთხვევა, რაც თავდაპირველ შემოქმედობითობის წყობის ნგრევს უდევს საფუძვლად. ამით ადამიანი თავისთავთან წინააღმდეგობაში მოდის, როგორც პიროვნება და ასევე როგორც საზოგადოება. ამ ცოდვილ შემთხვევას (*დეფექტიო პრიმა*) ემყარება „ცორრუპტიო“, მისი არსების რეფორმაცია, რაც მწუხარებაში, ავადმყოფობაში, სიკვდილში და ეკონომიკური ხედვით - საქონლის სიმცირეში კპოვებს გამოხატულებას. ამით მუშაობაც უარყოფით კომპონენტებს იძენს. ის ახლა არა მხოლოდ სიხარულის მომგვრელია, არამედ მას ღმერთის წყევლაც დაეწია. ადამიანმა ისეთ სამყაროში უნდა გაიტანოს თავი, სადაც საქონლის ნაკლებობაა და უსიამოვნებები სუფევს. ადამიანის საქმიანობა თავისუფლების ჩარჩოში რჩება, თუმცა ცოდვილობა მას ლაბილურს ხდის, ასე რომ ადამიანის ქმედება ამბივალენტი ხდება.

საფრთხეში მყოფი ადამიანი: ცოდვის ჩადენის შემთხვევას მოჰყვება ადამიანის საფრთხე. საფრთხე იწყება საკუთარი ძმის მკვლელობით(კაენის მიერ აბელის მოკვლა). ადამიანი მოქმედებს შეცდომებით, ხდება დამნაშავე და ვეღარ

გამოიმუშავებს თავისი შრომით საარსებო საშუალებებს. მაგრამ ღმერთის გულმოწყალება უკვე სამყაროს შექმნის შესახებ ცნობიდანაც ჩანს. ადამიანისათვის ღმერთმა ტყავისაგან შექმნა ტანსაცმელი⁸. მაგრამ მხოლოდ ღმერთი არ არის მოწყალე. ერთი ერის ხალხი მოწყალე უნდა იყოს როგორც თავისი ერის შვილის, ასევე ქვეყანაში მცხოვრები უცხოელების მიმართაც. ძველი აღთქმაში უამრავ ღონისძიებას ვხვდებით ღარიბების დასაცავად.

ბიბლია საკმარისად რეალისტურია და იცის ღარიბების ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის შესახებ. წინასწარმეტყველები იმდროინდელ ელიტას კატასტოფული ეკონომიკური პოლიტიკის გამო უჩივიან. ღმერთი ბრძანებს, რომ დღიურად მომუშავეს გასამრჯელო საღამოთი გადაუხადონ, რადგან ის ამით ცხოვრობს. მევახშე ვალდებულია ღარიბებს პალტო დაუთმოს ღამით, ღარიბმა კი პალტო დილითვე უკან უნდა დააბრუნოს.

ღმერთის სოციალური პოლიტიკა მიტევების და საიუბილეო წლებში გამოიხატება. ყველა მეშვიდე წელს ნებისმიერი სახის ვალი ბათილდებოდა. თუ ერიდან ვინმე ვალს აიღებს, ის მიტევების წელს ამ ვალიდან თავისუფლდება. ღმერთს არ სურს, რომ ადამიანი სიღარიბეში ჩავარდეს. ის უნდა გათავისუფლდეს ვალის ეშმაკის წრიდან.

ბიბლია კიდევ ერთი ნაბიჯით მიდის წინ. შვიდი მიტევების წლის შემდეგ, ყველა ორმოცდამეათე წელს ძველ ისრაელში საკუთრების განაწილება უნდა განახლებულიყო. მიწა ყოველთვის ოჯახების ან ტომის საკუთრებაში რჩებოდა. თუ ვინმე იძულებული იყო გაეყიდა თავის მიწა, ის ყიდდა მხოლოდ მოსავლის გარკვეულ ნაწილს საიუბილეო წლამდე. გარდა ამისა არსებობდა აგრეთვე ეგრეთ წოდებული „გამომხსნელი“-ს გარკვეული ვალდებულებები, რომ მას ამით გაყიდული მიწის უკან გამოსციდვა შეძლებოდა⁹. ღმერთს არ სურს, რომ ადამიანი ეკონომიურად დამოკიდებული იყოს სხვაზე. ადამიანს უნდა გააჩნდეს საკუთრება, რომლის დახმარებითაც მან უნდა უზრუნველყოს თავისი არსებობა. ადამიანი მათხოვრად, სხვისი ხელის შემჩერედ ან მუქთახორად არ უნდა ცხოვრობდეს!

⁸ თეოლოგიური შენიშვნა: ადამიანის ტანსაცმლისათვის ცხოველები უნდა დაეხმობათ. ძველ აღქმა ცნობს ცხოველურ მიმტევებლობის კულტს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმით მთავრდება და რომელმაც სხვა განზომილება შეიძინა ღმერთის მიერ ადამიანის შენდობის სახით.

⁹ შეგილიათ იხილოთ ბოაზისა და რუთის მშვენიერი სასიყვარულო ამბავი ძველ აღქმაში, რუთის წიგნი.

ღარიბებზე ზრუნვა ძველ აღქმაში ძალიან გავრცელებულია, მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ოჯახების სოლიდარობამ (ჰებრ.: W სედ:70π) სიღარიბე მკვეთრად შეამცირა. მაგალითად ღარიბებს ულება ჰქონდათ ძირითადი მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი მოსავალი მოემეზნათ (2. მოსე 23,10ფ. რუთი 2; 5. მოსე 24,19-22; 3. მოსე 19,9ფ., და ა.შ.). თამასუქის აკრძალვაც თანაეროვნებისათვის (2. მოსე 22,24; 5. მოსე 23,20ფ; ლევ. 25,36ფ) შეიძლება ასევე ღარიბების დასაცავად გავიგოთ. ღარიბების დაცვა ახალ აღთქმაშიდაცაა გათვალისწინებული. ქრისტიანები ვალდებული იყვნენ მხარში დადგომოდნენ ღარიბებს.(ტ. 5,42; ჯკ. 6,30-34ფ; ჟოკ. 13,29; პგ. 11,29; ჟაკ. 1,27 ეტც.). მხოლოდ სიღარიბის გამომწვევი მიზეზების ანალიზია ცოტა!

ბიბლიური შეფასების კრიტერიუმი

ცოდვილი ადამიანი: მოსე წერს (1.8.21 ბ) წერს: „ადამიანის გულის ფიქრები და მისწრაფებები ახალგაზრდობიდანვე ბოროტია“. ფუნქციონირებადმა სამეურნეო ეკონომიკურმა სისტემამ ამ შეფასებას ანგარიში უნდა გაუწიოს. კოლექტიურმა ეკონომიკურმა წყობებმა ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობის გამო ვერ გაამართლა, რადგან ისინი თავიანთ არსში მხოლოდ კარგ ადამიანებს მოიაზრებდნენ, მათ ანგელოზებთან აიგივებდნენ და არ ჰქონდათ ადამიანის მცდარი საქციელის საწინააღმდეგო დამცავი მექანიზმი. სოციალურ კანონმდებლობაში უმეტესად კარგი ადამიანი მოიაზრება. კანონით რეგულაციის დროს ნაკლები ყურადღება ეთმობა იმას, რომ ესა თუ ის წესი დასახული მიზნის საპირისპიროდაც შეიძლება იქნას გამოყენებული. გერმანულმა სოციალურმა კანონმდებლობამ თანდათანობით გაუღო კარი საზოგადოების ჩაგვრას და ამით ადამიანის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა შეამცირა.

სოციალური სამეურნეო ეკონომიკა ხაზს უსვამს ფუნქციონირებადი შეჯიბრის მნიშვნელობას, როგორც დისციპლინის შექმნისა და ძალაუფლების ჩამორთმევის ინსტრუმენტს. ვისაც ბაზარზე დამკვიდრება სურს, წარმატებას უნდა მიაღწიოს, კონკურენტებს გაუძლოს და ბაზარზე არსებულ პარტნიორებთან ითანამშრომლოს. სოციალური საბაზრო ეკონომიკის შეჯიბრის მექანიზმი ამით ითვალისწინებს, რომ ადამიანი ცოდვილია. მოქალაქეს, რომლის მიზანი მხოლოდ პირადი გამდიდრებაა (ასპექტი, რომლის ინდივიდუალურ-ეთიკური მხარე შეიძლება სადავო იყოს) საბაზრო ეკონომიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დაიმკვიდროს თავი, თუ იგი თავისი თანამოქალაქეებსათვის ისეთ რაღაც განსაკუთრებულს შექმნის, რითაც ის

საერთო კეთილდღეობაშიდაც შეიტანს წვლილს. მის მოტივს, რომლის ინდივიდუალურ -ეთიკური მხარე შეიძლება გაიკიცხოს, სოციალ-ეთიკური ხედვით ხელს უწყობს საერთო კეთილდღეობას.

გულმოწყალება, მოყვასის სიყვარული და სოციალური თანასწორობა: ღმერთი გულმოწყალედ გვევლინება. ძველი ისრაელის ისტორიულ გამოცდილებას თუ დავეყრდნობით ტომს ღარიბის დაცვა ევალებოდა. ამის თეოლოგიური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ისრაელელები ღმერთის ჩარევით ეგვიპტური მონობიდან გათავისუფლდნენ. ღმერთმა მათ ქანაანის მიწა უბოძა, მაგრამ მესაკუთრე ღმერთი რჩება! აქედან გამომდინარე გასაგებია საიუბილეო წლის რეგულაცია, რომელიც ზემოთ ვახსენე.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში გათვალისწინებულია გულმოწყალების, მოყვასის სიყვარულისა და სოციალური თანასწორობის იდეა. შეჯიბრის ფუნდამენტის გვერდით არსებობს სოციალური უსაფრთხოება და სოციალური თანასწორობა. როცა დასავლური საზოგადოებები ისეთ ტრანსფერს ახორციელებენ, რომელიც უკან არ არის დასაბრუნებელი, შეიძლება დავუშვათ, რომ ეს მიტევების წლის თეოლოგიური ხედვას ემყარება.

ადამიანის ღირსება და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა: როგორც ღვთის მსგავსი და ხატი ადამიანი მაღალი ღირსების მატარებელია. სრული დასაქმების პოლიტიკას ლუდვიგ ერჰარდი სოციალური პოლიტიკის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდა. შრომა ადამიანის არა მხოლოდ მოვალეობაა, არამედ უფლებაც. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა დაბრკოლება არ უნდა შექმნან, როგორც ეს სამუშაო ბაზრის ბიუროკრატიულობის გამო ხშირად ხდება. პიროვნული ან ჯგუფური ინტერესი დღეს უფრო წინ დგას ვიდრე საერთო კეთილდღეობა. ადამიანის ღირსებისაკენ მოწოდება ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი თავდასხმისაგან ადამიანის დაცვას და ხაზს უსვამს ამით ინდივიდუალურს. ადამიანის ეს ღირსება აღიქმება არა მხოლოდ შემოქმედებითობაზე ბატონობად, არამედ იგი ასევე გამოხატულებას ჰპოვებს საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომაში.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია აღიარებს აგრეთვე საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და ადამიანის ღირსებას. ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება, მთელი პასუხისმგებლობით მონაწილეობს სამეურნეო ცხოვრებაში. მოცემულ

პირობებში მას თავისი რესურსი ისე შეუძლია გამოიყენოს და მართოს, როგორც ეს თვითონ მას მიაჩნია მართებულად, მაგრამ იგი ამავე დროს თავის ქმედებაზეც თვითონ უნდა იყოს პასუხისმგებელი.

საკუთრების დაცვა: ათ მცნებაში ვკითხულობთ: არა იქურდო! სოციალური საბაზრო ეკონომიკაც ხაზს უსვამს საკუთრების დაცვას. საკუთრების დაცვა და ასევე პრინციპი, პასუხისმგებელი იყო საკუთარ გადაწყვეტილებაზე, ხელს უწყობს ადამიანის ღირსებას და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას. თეოლოგიურად „სამეურნეო“ პრინციპზე ლაპარაკობენ. ვინც დაუფიქრებლად რესურსს გამოიყენებს, ის ზარალით დაისჯება. სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია პატივს სცემს რაციონალურ ქცევას და შეესაბამება ამით კარგი მეურნეობის პრინციპს.

ლოცვა და კეთილდღეობა: ღმერთის მიზანი ადამიანის კეთილდღეობაა. მეორე რჯულში 15, 4 ვკითხულობთ: არ იყოს არცერთი ღარიბი თქვენს შორის, ღმერთი დაგლოცავს იმ ქვეყანაში, რომელსაც იგი გიბოძებს, თუ შენ შენი უფლის ხმას ისმენ, შენს ღმერთს დაემორჩილები და ყველა იმ მცნებას დაიცავ, რასაც მე დღეს მოგთხოვ და შენ შემდგომ გააკეთებ“. ღმერთი ისწრაფვოდა ყველასათვის სამუშაო კეთილდღეობას. ამის ჰგავს ლუდვიგ ერჰარდის სლოგანი: „კეთილდღეობა ყველასათვის“. მიქა 4,4 ვკითხულობთ: „თითოეული თავის ვაზის და ლეღვის ხის ძირას იცხოვრებს...“. ბიბლია ხაზს უსვამს ლოცვის მნიშვნელობას. ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას ღარიბი თანამოქალაქეების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. არცერთმა გერმანელმა არ უნდა იშიშშილოს, სოციალური ქსელი საკმაოდ ფართოდ და მყარად არის გაჭიმული. ესეც თავის მხრივ ლოცვაა! იესოსაც სურს, რომ ადამიანებმა იცხოვრონ და ამასთანავე მათ ამისთვის საკმარისი ჰქონდესთ (იოანე 10,11).

ადამიანი ბიბლიური ხედვით მარტოდ მოსიარულე არ არის, მას აუცილებლად სჭირდება სხვა ადამიანებიც. სოციალური საბაზრო ეკონომიკის სამუშაოს განაწილების პრინციპი თავისი შეჯიბრის ნაწილით ბიბლიურ პრინციპს ესადაგება. პაულუსი ამტკიცებს, რომ ეკლესია შეიძლება შევადაროთ ისეთ სხეულს, რომლის ბევრ ორგანოს საკუთარი ფუნქცია აქვს და რომლებიც თავის მხრივ მთლიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელი არიან (რომ. 12,4-6; 1. კორ. 12,12-26). ასევე ხდება კონკრეტულ საზოგადოებაში სამუშაოს განაწილების პრინციპით საზოგადოების

წევრებზე სხვადასხვა ფუნქციის გადანაწილება. როგორც სხეული იტანჯება, როცა რაღაც ორგანო არ ფუნქციონირებს, ასევე იტანჯება საზოგადოება, როცა საზოგადოების რომელიმე სფერო თავის დავალებებს შესაბამისად ვერ ასრულებს.

დასკვნა

საცოიალური საბაზრო ეკონომიკის ზოგადი ჩონჩხი ბიბლიურ-ქრისტიანული ადამიანის სურათთან წინააღმდეგობაში არ მოდის. საცოიალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ადამიანებს თავისუფალი მოქმედების ჰორიზონტს აძლევს და პატივს სცემს ადამიანურ ღირსებებს. ამასთანავე ის ითვალისწინებს ადამიანის არასრულფასოვნებასა და წარუმატებლობას და იცავს მას სოციალ-პოლიტიკური ღონისძიებებით. ამით ეს კონცეფცია ძველ და ახალ აღთქმასთან ჰარმონიაში მოდის.

სხვათაშორის გერმანიაში პრაქტიცირებულ ეკონომიკურ- და სამეურნეო პოლიტიკას თავისუფლების ასპექტის ძლიერი შეზღუდვა და სოციალური ასპექტის მეტად გამლა გასდევს, რასაც შედეგად საბაზრო ეკონომიკაში პრობლემები მოჰყვება.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ითვალისწინებს ადამიანის პოტენციალს და იცავს მის არსებობას ეკონომიკური საფრთხის დროს. რადგან სოციალურის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება ადამიანის ბუნებაში დევს, ამის გამო ის ჩარჩო-პირობებით უნდა იზღუდებოდეს. აქედან გამომდინარე პრაქტიკაში არსებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის აუცილებელ რეფორმებზე ქრისტიანული წარმოსახვის ადამიანიც დაფიქრდებოდა!